თავი 6

სტრატეგიული პრიორიტეტები , მიზნები და ამოცანები – 2018 – 2024

2. სწავლებისა და სწავლის ხარისხის განვითარება

მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიისგან - მომზადდეს "კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისთვის".

უნივერსიტეტში ხორციელდება **ყველა საფეხურის** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები **და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა,** რომლებიც ხარისხიან სწავლებას სთავაზობს როგორც საქართველოს, ასევე უცხოელ მოქალაქეებს. მომავალი შვიდი წლის განმავლობაში განსაკუთრებით ყურადსაღებია მედიცინის დიპლომამდელი საფეხურის პროგრამა, რადგანაც 2023 წლისთვის უნდა იყოს საერთაშორისოდ აკრედიტებული. ამასთან, მედიცინის დიპლომამდელი განათლების პროგრამა სრულ შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მედიცინის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც 2019 წლიდან შედის ძალაში. ეს გამოწვევები გათვალისწინებული იქნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას. **უნივერსიტეტი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს მილევად რეჟიმში, არსებული პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების უზრუნველყოფის მიზნით. უნივერსიტეტის საქმიანობა მომავალი ექვსი წლის განმავლობაში პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით შემოიფარგლება არსებული პროგრამის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით.**